ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა

კ უ რ უ კ უ ლ უ მ ი
პროგრამის სახელწოდება
საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია
საფეხური
მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი
თეა ამნიაშვილი - ხელმძღვანელი გიზო ჭელიძე - კოორდინატორი დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის/კოორდინატორის კვალიფიკაციას, მის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტებში.
პროგრამის მოცულობა
საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. პროგრამა იყოფა სამ კომპონენტად: სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი, აგრეთვე მასში შედის თავისუფალი კომპონენტი. სასწავლო კომპონენტი არის სასწავლო ელემენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს მაგისტრანტის დარგობრივ დახელოვნებას, ხელს უწყობს მას და ამზადებს პაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად. **სასწავლო კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 85-95 (მითითებულ კრედიტთა მოცულობა დამოკიდებულია მაგისტრანტის მიერ პრაქტიკული კომპონენტის - 10 კრედიტი, გავლაზე) კრედიტს** - აქედან, 58 - ს აგროვებს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან, ხოლო 27-37 კრედიტი შეუძლია დააგროვოს: - მეორე უცხო ენის არჩევითი კონცენტრაციიდან, არჩვითი ზოგადი კონცენტრაციიდან, არჩევითი რეგიონალური კონცენტრაციიდან (რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე, ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და არაბული სამყარო, ამერიკა),

სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლაში ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. სწორედ ამ მიზნით პროგრამაში გათვალისწინებულია 15 კრედიტი თავისუფელი კომპონენტი. თუმცა რეკომენდირებულია, მაგისტრანტმა 15 კრედიტი დააგროვოს ერთი რეგიონალური აჩევითი კონცენტრაციის მიხედვით, რათა სიღრმისეულად შეისწავლოს კონკრეტული რეგიონი.

პრაქტიკულ კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 10 კრედიტს:

- სახელმწიფო სექტორის იმ დაწესებულებებში, რომლებიც თვითონ აცხადებენ და ითხოვენ სტუდენტთა გაგზავნას პრაქტიკისთვის;
- იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული უნივერსიტეტსა და სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლას.

პრაქტიკული კომპონენტი სავალდებულოა სამაგისტრო პროგრამის იმ სტუდენტისთვის, ვინც არ არის დასაქმებული საკუთარი პროფილით.

კვლევით კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 25 კრედიტს.

კვლევითი კომპონენტთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს მიერ დამტკიცებულ მაგისტრატურის დებულებაში.

სწავლების ენა

ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციისა და პროფესიული სტანდარტების მქონე, სამაგისტრო დონის სწავლებისთვის შესაფერისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი კადრები, რომლებიც მზად იქნებიან, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, საჯარო, არასამთავრობო თუ კერძო სექტორის შრომით ბაზარზე არსებული თანამედროვე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

შესაბამისად პროგრამა მიზნად ისახავს:

- შესძინოს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების წარმოების თავისებურებებში;
- შესძინოს სტუდენტს თანამედროვე მსოფლიოს აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო თუ უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან დაკავშირებული პროცესების პროფესიული ცოდნა ეროვნულ, საერთაშორისო, რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში;
- შესძინოს სტუდენტს უნარები კრიტიკულად გაანალიზოს და კვალიფიციურად შეაფასოს საერთაშორისო პროცესები, მოვლენები, ძირითადი ტენდენციები და გამოწვევები;

- საფუძვლიანად შეასწავლოს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, მსოფლიო პოლიტიკის მოქმედ აქტორებს შორის ურთიერთობების თავისებურებები, ძირითადი საერთაშორისო ინსტიტუტები და პლატფორმები, საერთაშორისო პოლიტიკის წარმართვის თანამედროვე მექანიზმები და ინსტრუმენტები, მათ შორის გლობალური და რეგიონალური კუთხით;
- გამოუმუშავოს კვლევის უნარი თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით და მოამზადოს შემდგომი სამეცნიერო საქმიანობისთვის;
- გამოუმუშავოს სტუდენტს პროფესიულ თუ აკადემიურ წრეებში, კოლეგებთან თუ პარტნიორებთან სწორი კომუნიკაციის, საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკების ეფექტიანად წარმოებისა და შედეგზე ორიენტირებული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- მისცეს საშუალება კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში თუ მომიჯნავე სფეროებში თავისუფლად და დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი პროფილი, იქნება ეს საჯარო, კერძო თუ არასამთავრობო სექტორში.

პროგრამა დიფერენცირებულია საერთაშორისო, რეგიონული და სუბრეგიონული ასპექტების მიხედვით და მოიცავს, როგორც საჯარო, ისე არასამთავრობო და კერძო სექტორისთვის დამახასიათებელ ურთიერთობათა ელემენტებს. პროგრამა გამდიდრებულია ისეთი მონათესავე კურსებით, რომელთა შესწავლა, კვალიფიციური კადრების მომზადების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ამაღლებს პროგრამის როგორც პრაქტიკულ ისე აკადემიურ ღირებულებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი.

პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება.

სავარაუდო სტუდენტთა რაოდენობა

50

დასაქმების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი მომზადებულია საერთაშორისო და საგარეო ურთიერთობათა სფეროში პრაქტიკის განსახორციელებლად და ფუნდამენტალური სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად.

სწავლის შედეგები

საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

1. ფლობს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების, მსოფლიო პოლიტიკის, საერთაშორისო ეკონომიკის, თანამედროვე უსაფრთხოების დღის წესრიგის, მათ შორის საერთაშორისო ენერგოპოლიტიკისა და ენერგოუსაფრთხოების ძირითადი ტენდენციების ღრმა და სისტემურ ცოდნას;
2. აღწერს პოლიტიკურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდებს; საერთაშორისო ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღების პროცესს; საერთაშორისო მოლაპარაკების წარმოების ძირითად მეთოდებს და ინსტრუმენტებს; საგარეო პოლიტიკის, მათ შორის საქართველოს საგარეო პოლიტიკის, ძირითად თავისებურებებს;
3. აცნობიერებს და კრიტიკულად იაზრებს საერთაშორისო, რეგიონული და გლობალური პოლიტიკის ჭრილში მიმდინარე პროცესებს, მოვლენებსა და ძირითად გამოწვევებს;
4. სასწავლო კურსის ფარგლებში შესწავლილი შესაბამისი თეორიული კონცეფციების თუ დაგროვილი პრაქტიკული ცოდნის გამოყენებით პროფესიულად აანალიზებს და აფასებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თუ ზოგადად მსოფლიო პოლიტიკის აქტუალურ მოვლენებს, კონკრეტულ პრობლემებს თუ გამოწვევებს, შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის ახალ, ინოვაციურ და ორიგინალურ გზებს;
5. მოცულობითი, კომპლექსური, ხშირად არასრული ინფორმაციის შეგროვებით, სორტირებითა და კრიტიკული გაანალიზებით აყალიბებს საგარეო-პოლიტიკურ პოზიციებს, დასკვნებს, შეიმუშავებს გადაწყვეტილებების პროექტებს; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდების გამოყენებით ახდენს საკითხების პრიორიტეტიზაციას, დაყოფას, მსხვილი პოლიტიკური მიზნების განსაზღვრას, კონკრეტული ამოცანების დასახვას, აქტივობებისა და ქვე-აქტივობების ჩამოყალიბებას და მათ ეფექტიან განხორციელებას;
6. აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას თუ არასპეციალისტებს, წერილობითი და ზეპირი ფორმით, მშობლიურ და უცხოურ ენებზე, წარუდგენს საკუთარი კვლევის შედეგებს და არგუმენტირებულ დასკვნებს, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; თანმიმდევრულად, ნათლად და დამაჯერებლად წარმართავს დებატებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, ერთვება დისკუსიებში, წამოაყენებს და იცავს საკუთარ მოსაზრებებს, სხვისი მოსაზრებების პატივისცემის გათვალისწინებით;
7. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, დამოუკიდებლად წარმართავს კვლევის პროცესს;
8. მართავს კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს, თავისუფლად ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. გააჩნია მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება, შეუძლია პასუხისმგებლობის აღება სხვების საქმიანობაზე და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე;
9. კურსის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, დამოუკიდებლად განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებითა და პრაქტიკული მუშაობით, ახდენს ცოდნის გაღრმავებას; თავისუფლად ადაპტირდება ახალ პროფესიულ გარემოსთან;
10. პროფესიული საქმიანობისას იცავს დიპლომატიურ, ეთიკურ და აკადემიურ ნორმებს; აფასებს და პატივს სცემს პარტნიორებისა და კოლეგების აზრს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება ☒ ელექტრონული სწავლება ☒ სამაგისტრო ნაშრომი და სხვა.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი;
- წიგნზე მუშაობა;
- წერითი მუშაობა;
- ვერბალური ახსნა–განმარტება;
- დემონსტრირება;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- გონებრივი იერიში (Brain storming);
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (lBD);
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- გუნდური (collaborative) მუშაობა;
- დისკუსია/დებატები;
- დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება) და სხვა.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება
(A) ფრიადი _ შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფითი შეფასება
(FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

(FX) - ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება სასწავლო კურსის შეფასების სისტემით.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც). კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მრავლდება ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;

- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

დანართი 1: პროგრამის სასწავლო გეგმა, შედეგების რუქა, მიზნებისა და შედეგების რუქა.